გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## ტფილისი

15 სექტემბერს

სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთი დიდს სამზადისშია, რომ ბრწყინვალედ იდღესასწაულოს რუსეთის ესკადრის სტუმრობა, როდესაც დიდი და პატარა, ერი და ბერი, განურჩევლად წოდებისა და პოლიტიკურის რწმენისა, განუსაზღვრელ მხიარულებას ეძლევა, რადგან, მათის ფიქრით, დღეიდან საფრანგეთის ერს აღარავითარი შიში არ მოელის,—საფრანგეთის მახლობლად, სლავიანთა ტომის ერი სულ სხვა გუნებაზეა. ამ ჟამად ჩეხია ძაძით იმოსება, სტირის და ჰგლოვობს ეროვნობის პრინციპის შელახვას და თავის დაჩაგვრა-დამცირებას.

ავსტრიის სამინისტრომ 31 აგვისტოს მოულოდნელად უცნაური და არა ჩვეულებრივი ღონისძიება მიიღო ჩეხების წინააღმდეგ: მოაკლო მათ კონსტიტუციისაგან მინიჭებული უფლება, აღკრძალა ოცზე მეტი ჩეხური გაზეთი, გააუქმა ჩვიდმეტი კლუბი, აუკრძალა მიტინგები და თავისუფლად ბჭობა თავიანთ საქმეთა შესახებ; გააუქმა ნაფიც-მსაჯულთა სამართალი, შეზღუდა მწერლობის თავისუფლება და სხვა. ერთის სიტყვით, მთავრობამ მოუსპო ჩეხებს ყველაფერი, რითაც-კი თავს იწონებს ყოველი ევროპიელი, კონსტიტუციის მფარველობით აღზრდილი, და ურომლისოდაც განათლებულ და განვითარებულ ევროპიელს სიცოცხლე არ შეუძლიან.

ჩვენ, შორიდან მაყურებელნი და სხვა ნაირად აღზრდილნი, ძნელად მივხვდებით, რა გამწარებულია დღეს ყოფა ჩეხებისა და რა გულ-ჩათუთქულნი იქნებიან ბოჰემიის მკვიდრნი, რომელთა რიცხვი თითქმის ექვს მილიონს აღემატება ეხლა. უნდა მოისმინოთ დარდითა და ნაღვლით სავსე სიტყვები ძველ-ჩეხების გაზეთ Politik-ისა,—რომლის სულის ჩამდგმელი სახელოვანი მეთაური და მებრძოლი ჩეხიის ეროვნულის დამოუკიდებლობისა, ღრმად მოხუცებული დოქტორი რიგერი, დღესაც ცოცხალია—და მხოლოდ მაშინ გაიგებთ, რა უბედურება ეწია ჩეხიას.

გაზეთს მოუკრამს ყური, რომ ახალ-ჩეხნი, ღრმად გულ-ნატკენნი მთავრობის უსამართლობით, აპირობენ მონაწილეობა აღარ მიიღონ პარლამენტის შემოდგომის სესიაში. „დიდათა ვსწუხვართ ახალ-ჩეხების ასეთის გადაწყვეტილების გამოვო, სწერს ზემოხსენებული გაზეთი. ჩეხიის ერის ინტერესები მოითხოვს ხელის გაქნევასა და არა ბრძოლის ველიდან უკუ-ქცევას. ცა ჩვენის სამშობლოსი იღრუბლება. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი საქმეა გასაკეთებელი? კონსტიტუციურ უფლებათა ჩამორთმევის გარდა, ამ შემოდგომაზე პარლამენტი განიხილავს lex trautenau-ს*) და იმის კანონ-პროექტს, თუ რომელს ენას რა უფლებანი ჰქონდეს მინიჭებული. ახალ-ჩეხნი თუ განზე გადგებიან, მერე ვინ დაიცავს ჩეხიის ერის უფლებას, წინ ვინ აღუდგება სამინისტროს მიერ ამოწვდილს ხმალსა? პრაგაში თავისუფალი სიტყვა აღარ გაისმის, საერო ტრიბუნა, საიდანაც შეიძლებოდა მტერთან ბრძოლა, გაუქმებულია. ერთად-ერთი ტრიბუნა პარლამენტი-ღაა და მხოლოდ იქ-და შეგვიძლიან ვიბრძოლოთ, ვიდრე პირში სული გვიდგია. ამას მოითხოვს ჩეხიის ერის ეროვნული ინტერესი“.

მერე რა ჩაიდინეს ისეთი, რა მომაკვდინებელი ცოდვა მოიქმედეს ჩეხებმა, რომ სამინისტრომ ასეთი სასტიკი ღონისძიებანი იხმარა ჩეხიის წინააღმდეგ?

მოკლე ისტორია ამ სამწუხარო ამბისა ასეთია: პირველ სექტემბერს 1871 წელსა, ჰოჰენვარტის მთავარ მინისტრობის დროს, ავსტრი-ვენგრიის იმპერატორმა შემდეგის რესკრიპტის გამოცხადება ინება ჩეხიის დასამშვიდებლად: „გვახსოვს-რა სახელმწიფო ყოფა-ცხოვრება ბოჰემიის სამეფოსი და ის ბრწყინვალება და ძლიერება, რომელიც მოგვეფინა ჩვენ და ჩვენთა წინაპართა; გვახსოვს-რა აგრედვე ის შეურყეველი ერთგულება, რომლითაც ბოჰემიის ერი იცავდა ჩვენს ტახტსა,—სიამოვნებით შევიწყნარებია უფლებანი ამ სამეფოსი და მზადა ვართ კვლავ განვაახლოთ ჩვენი სურვილი გვირგვინოსან ფიცის დადებით“.

ჩეხებმა ოც და-ორი წელიწადი ითმინეს, უცადეს, როდის შეასრულებს მთავრობა თავის დაპირებასო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. და აი ეხლა გადასწყვიტეს ედღესასწაულათ ოც-და-ორის წლის შესრულება ამ რესკრიპტის გამოქვეყნების დღიდან. მრავალგან მიტინგები და კრებანი იმართებოდა, ორატორნი იწვევდნენ ხალხსა, რაც შეიძლება ბრწყინვალედ გავატაროთ პირველი სექტემბერიო. ჩეხებმა იწყეს მზადება ამ დღისათვის, თითო-ოროლა ქუჩაში თავზე ხელ-აღებულმა ბრბომ უწესოებაც მოახდინა და სახელმწიფო ღერბი შეურაცხჰყო. მთავრობა შეშინდა და პრაგაში საფრთხილო მდგომარეობა შემოიღო...

მთავრობის სასტიკი განკარგულება ბევრს გონიერ გერმანელსაც არ მოსწონს. გადაჭარბებული საქციელი ქუჩის ბრბოსი ადვილი წარმოსადგენია, როდესაც ერი თავის დამოუკიდებლობას იცავსო, ამბობს გერმანული გაზეთი Post. მეორე გერმანულივე გაზეთი Deutsches Volksblatt პირდაპირ აცხადებს, რომ ასეთის საქციელით მთავრობა უფრო ხელს უწყობს ჩეხებს, ვიდრე აფერხებს მათს საქმესო. კოლლერი უფრო სასტიკად მოქმედებდა ბოჰემიაში, მაგრამ დასუსტების მაგიერ გააძლიერა და აღაფრთოვანა ეროვნული სურვილი ჩეხებისაო. ეხლაც ეგევე მოხდებაო. წინააღმდეგობა მთავრობისა გათავდება მით, რომ ავსტრიის იმპერატორი წმ. ვიაჩესლავის გვირგვინს დაიდგამს და ბოჰემიის მეფედ ეკურთხებაო. ესეც რომ არ იყოსო, ამბობს იგივე გაზეთი, მონარქიის მოწყობა ფედერატიულად შეადგენს სახელმწიფო მოთხოვნილებას და, მაშასადამე, ჩეხების შეწუხება ტყუილუბრალო სასტიკობა და გულქვაობააო.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ასეთ გონივრულ და სამართლიანს რჩევას ძალიან ცოტანი უგდებენ ყურსა.

ისკანდერ

*) ამ კანონის შესახებ ჩვენ „ივერიაში“ წერილი გვქონდა დაბეჭდილი. მთავრობას სურს, ჩეხია ორად გაჰყოს: ერთში შემოიღოს გერმანული ენა და სამართალი ამ ენაზე, ხოლო მეორეში—ჩეხური. რა თქმა უნდა, რომ ჩეხები თავებს იკლავენ სამშობლოს ასეთის დაწიწკნის გამო.

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 13 და 14 ტფილისში ავად არავინ გამხდარა.

გუშინ დილით სამხედრო საავადმყოფოში 1 და რკინის გზის საავადმყოფოში 2 ხოლერიანი დარჩა.

---

# ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 13 სექტემბერს, პირველი კრება ჰქონდა ახალს საბჭოს ქალაქისას. კრებას დაესწრო 64 ხმოსანი. უმთავრესი საგანი იყო თავმჯდომარის არჩევა იმ კრებათათვის, რომლებზედაც თათბირი ექმნებათ ხმოსნებს მოხელეთა ჯამაგირების შესახებ. ამ საპატიო თანამდებობაზედ საბჭოს უნდოდა მოეწვია წინანდელი მოურავი ქალაქისა თავ. არღუთაშვილი, მაგრამ თავადმა უარი განაცხადა. შემდეგ ამორჩეულ იქმნა მ. ი. თამამშოვს, 46 ხმით წინააღმდეგ 17 შავისა. საბჭომ განაცხადა სურვილი, რომ მალე მოხდეს კრება ჯამაგირების შესახებ, რათა ამის შემდეგ შესაძლებელ იყო[ს] აჩქარება

---

# ფელეტონი

## ხვნა-თესვის საქმე ინგლისში

(წერილი მესამე)

ეხლა განვმარტოთ ის მიზეზებიო,—განაგრძო ჩემმა ინგლისელმა,—რა მიზეზების გამოც დიდს გაჭირვებაშია ხვნა-თესვისა და მეურნეობის საქმე ინგლისში.

— დიდად დამავალებთ, ბატონო. რაც აქამდე მიამბეთ, უფრო იმას ამტკიცებს, რომ თქვენებური ხვნა-თესვა და მეურნეობა აყვავებული უნდა იყოს: ერთი ბეწვა ნაჭერი მიწა უფრო მეტს მოსავალს იძლევა თქვენში, ვიდრე საუკეთესო მამული საქართველოსი; თვით ქირნახული, აგრედვე საქონელი თქვენში განკარგებულის ჯიშისაა; ჰაერსაც-კი აღარ ემორჩილებიან თქვენებური მხვნელ-მთესველნი. აბა ყურძენი და წითელი ბადრიჯანი ხომ ინგლისის ჰავაში არ უნდა მწიფდებოდეს, თქვენ-კი მოგყავთ, ისე როგორც სამხრეთს ქვეყნებში,—და მაინც...

— და მაინც მეურნეობა ჩვენში დიდად გაჭირვებულია! პარლამენტი, სამეურნეო საზოგადოებანი, საგრონომიო ჟურნალ-გაზეთობა, კერძო ამხანაგობანი მხვნელ-მთესველთა, ხოლო ამისთანა ამხანაგობათ თვლა არა აქვს ჩვენში, მხოლოდ იმაზედ არიან გადამდგარნი, რომ როგორმე წინ წასწიონ ჩვენი მეურნეობა. დიაღ, გაჭირვებული ყოფა ჩვენის მეურნეობისა ყოველსავე ექვს გარეშეა. თუ მკითხავთ, რამ გამოიწვია ასეთი კრიზისი, პასუხად იმას მოგახსენებთ, რომ ამ გარემოების მიზეზი ბევრგვარია, განსაკუთრებით-კი ჩვენი მრეწველობაა; ამას გარდა კრიზისის მიზეზად ისიც შეიქმნა, რომ ახალი წესი შემოიღეს მიწის პატარ-პატარა ნაჭრების შესამუშავებლად; ერთი მიზეზი კიდევ ზღვით საქონლის გადატან-გადმოტანის გაიაფებაა.

— აი ეგ უკანასკნელი მიზეზი-კი, ესე იგი, გაიაფება ზღვით საქონლის გატან-გადმოტანისა, ცოტა არ იყოს ჭკუას ახლოა:—ის ქვეყნები, რომელთაც ჯერ ისევ ნორჩი კულტურა აქვთ, თქვენი ახალშენები ეცილებიან მეტროპოლიას, თქვენს ქვეყანას. ხოლო რა შუაშია ამ შემთხვევაში განკარგებულ-გაძლიერებული კულტურა?

— სწორედ ეგ გაძლიერებული კულტურა და მრეწველობაა მიზეზი, რომ ასე საარაკოდ ძვირდება მამული. ხომ გახსოვთ, ამას წინად არა გვქონდა ლაპარაკი (იხ. წერილი პირველი), რომ ბ-ნი პონსი ერთ ბეწვა მიწაში 2500 ფრანკს აძლევს იჯარას წელიწადში და მაინც 24 ათას ფრანკს იღებს წმინდა შემოსავალსო. იმასაც და ყველა სხვასაც, ვინც ახალის წესით უვლის მამულს, დიაღაც შეუძლიან დიდი ღალა და იჯარა აძლიოს მამულის პატრონს. რა ჰქმნას ახლა ამისთანა გარემოებაში ფერმერების უმრავლესობამ, რომელიც ჩვეულებრივის წესით უვლის მამულებს? იმათ ხომ 2500 ფრანკი არ შეუძლიანთ აძლიონ იჯარად? რაღა ვსთქვათ მილიონობით სოფლად მცხოვრებ მუშა ხალხზე? ისინი ხომ ახლოც ვერ მიეკარებიან მამულს, რომელსაც ვერც იჯარით იღებენ, ვერც სალაღოდა ჰხნავენ თავიანთ სულ-მოკლეობის გამო.

— ყველგან ხომ არ გაძვირებულა მამული და არ უმატნია მამულის იჯარას?

— მართალია, ყველგან არ უმატნია. მაშინ როცა ლონდონის შუაგულ ადგილას ოთხ-კუთხი ფუტი (ოთხ-კუთხი იარდი, ჩვენებურად ოთხ-კუთხის საჟენის მეთორმეტედი) გაიყიდა ამ ორის კვირის წინად ხუთას თუმნად, მის განაპირას, (პროვინციას ნუღარ ვიტყვით) მამულის ფასი არც ამის მეათასედს შეადგენს. მაინც-კი ფასი მამულისა ძალიან მატულობს თან-და-თან. ასეც უნდა იყოს. თუ რომელისამე გადაკარგულის მამულის პატრონი ვერ ახერხებს, რომ იჯარა მოუმატოს, იმდენივე იღოს, რასაც იღებენ ჯერსეიზე და დიდ ქალაქების ახლო-მახლო, მაინც იმ კანონის ძალით, რომელიც ათანაბრებს და ათანასწორებს ფასებს, როგორც სავაჭრო საქონლისას, ისე წარმოებისათვის საჭირო იარაღისას ამა თუ იმ ქვეყანაში, იმ გადაკარგულს მამულსაც უნდა მოემატოს ფასი. მამულების შემუშავების ახალი წესი რომ საყოველთაო იყოს, ყველასთვის ხელ მისაწდომი, კაპიტალი და ცოდნა რომ სოფლის ხალხსაც ჰქონდეს... მაშინ კიდევ არა უშავდა-რა, ქვეყანა გაუძლებდა იჯარასა და ღალის მომატებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ფულიანი კაცები, რა-კი ერთხელვე მიჩვეულან, თავიანთ ფულს ან საბანკოსა და ან სამრეწველო საქმეს ახმარებენ; ის-კი ველარ მოუფიქრებიათ, რომ $2^1/_2$ და $3^1/_2$ %-ის მაგიერ, რომელსაც აძლევენ იმათ ბანკები, 1) ხვნა-თესვა და მეურნეობა ახალის წესით სრულიად თავისუფლად მისცემს, ვინც ფულს ამ საქმეს მოახმარებს, 8 და 10%-საც-კი.

მაგრამ არ იფიქროთ-კი, რომ ჩვენში მარტო ხვნა-თესვა და მეურნეობაა ასეთს გარიჭირვებულს ყოფაში. გაჭირვებაშია აგრედვე ფოლად რკინის ინდუსტრია, ქვა-ნახშირის წარმოება და ბამბა-ქსოვილის საქმე, ესე იგი, სულ უფრო დიდნი დარგნი ჩვენის მრეწველობისა... არც მარტო ჩვენს ქვეყანაშია ასე გაჭირვებული საქმე. ასევეა საფრანგეთში,

1) რათა უფრო ცხადი იყოს, რაოდენი ფული აქვთ ბანკებში კერძო კაცთ, პატარა შოტლანდიას დავისახელებთ მაგალითად, საცა მარტო ის ფული, რომელიც აღარ მოუთხოვნიათ უკან პატრონებს, აღარ მისულან იმათ გამოსატანად, იყო 1893 წელი მაისში 500 მილიონ მანათზედ მეტი. ცხადია, რომ ეს ფული სახელმწიფო ხაზინას გადაეცემა, რა-კი პატრონი აღარა ჰყავთ.

მოხელეთა ამორჩევისათ. ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას, რომ გამგეობის წევრის კანდიდატი მოწვეულ იქმნას სამსახურისათვის, სანამ არჩევანები გათავდებოდესო. კრებამ შეიწყნარა ეს წინადადება. ყველაზედ საყურადღებო საგანი კრებისა იყო თხოვნა სამეურნეო საზოგადოებისა, რომ ქალაქმა შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოების საბაღოსნო სკოლას წლიურად სამოცის თუმნით და ნაცვლად ასეთის შემწეობისა მიიღოს სკოლის ბაღიდგან სხვა-და-სხვა ხეების ნერგები ქუჩებსა და ბაღებში დასარგავადაო. ამას გარდა ერთს სტიპენდიატს გაუზდის ქალაქსაო. გამგეობის აზრით ეს თხოვნა შეუწყნარებელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ დ. ზ. ყორღანოვისა და ნ. ა. ხუდადოვის წარსარჩლების შემდეგ საბჭომ დაადგინა—ამ საგანზედ კვლავ იქონიოს მსჯელობა, როდესაც განიხილავს ხარჯთ აღრიცხვას 1894 წლისას.

*** ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის მარშალმა წარუდგინა გუბერნატორს დაბეჭდილი წერილი ხიზანთა შესახებ და სთხოვა, იშუამდგომლეთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა ამ ორის წლის წინად უმაღლესად დამტკიცებული ხიზანთა დებულება ხელმეორედ იქმნას განხილული და შეცვლილი იმ საბუთების მიხედვით, რომელიც წერილშია მოყვანილი.

ამ საყურადღებო წერილის შინაარსს დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მკითხველს; წერილში ცხადად არის დასურათებული ის გარემოება, რომ მრავალი თავად-აზნაური მამულით ბევრ ხიზანზე უფრო ღარიბია და ამისათვის მათ აღარ შეუძლიანთ ხელ-ახლა მისცენ მამულზე დამკვიდრებულ ხიზნებს „ნადელი“. თავად-აზნაურობა საფუძვლიანად ურჩევს მთავრობას გადაასახლონ ხიზნები თავისუფალ სახაზინო მამულებზე, რადგან ის მამულები მათი უფრო უპრიანია, ვიდრე ოსმალეთ-პარსეთიდგან და სხვა უცხო ქვეყნიდგან მოსულ სომეხ-თათრებისთვის, რომელთაც ასე უხვად მიეზომათ სახელმწიფო მამულები. მამულის მიზომვა დღესაც არ გათავებულაო, ამბობს თავად-აზნაურობა: ყარაიზი, ალაზნის იქით მდებარე მინდვრები, შირაქი თავისუფლად დაიტევს გუბერნიაში მცხოვრებ ხიზნებს, თუ-კი მათთვინაც ისე იზრუნავენ, როგორც ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გადმოხვეწილთათვის ზრუნავენო.

*** ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდის წევრი ეპისკოპოსი არისტაკეს გვაუწყებს დეპეშით, რომ პატრიარქ-კათალიკოსის მირონ-ცხება დანიშნულია 26 სექტემბრისათვის.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ კასსისათვის წარსულ აგვისტოს მიუბარებიათ 28574 მანათი. კასსის-მიერ გაცემულია 79 ახალი დავთარი. შარშან ამავე თთვის განმავლობაში მიუბარებიათ 9245 მ. 75 კ. და გაუტანიათ 36 ახალი დავთარი. მაშასადამე, ამ წლის აგვისტოში შარშანდელთან შედარებით 19,328 მ. 25 კ. მეტი შეუტანიათ შესანახად.

1 იანვრიდგან 1 სექტემბრამდე ამა წლისა შეტანილია 276,789 მან. 76 კ. და გატანილია 832 ახალი დავთარი. შარშან ამავე ხნის განმავლობაში კასსას მიუღია 116,186 მან. 52 კ. მაშასადამე, წელს მიუღია 160,603 მან. და 24 კაპ. მეტი და გაუცია 316-ით მეტი ახლი დავთარი.

*** გუშინ-წინ, ნაშუადღევის 4 საათზედ, თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით გასათხოვარ ქალმა ჟ—იმ. როგორც ამბობენ, მიზეზი თავის მკვლელობისა უიმედო სიყვარული ყოფილა. ქალსა და ვაჟს ცოლ-ქმრობის პირობა ჰქონიათ მიცემული ერთმანერთისთვის, ხოლო ვაჟს მშობლები ნებას არ აძლევდნენ თურმე. უკანასკნელ დღეს ორთავ მიჯნურთ ერთად უსადილნიათ და სადილს შემდეგ-კი ქალს თავი მოუწამლავს.

*** 13 სექტემბერს მუხრანიანთ ქუჩაზე, ღარიბოვის სახლში, რევოლვერით თავი მოიკლა მეორე კლასიკურ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფემ ტიგრან ოჰანეზოვმა.

*** ამ დღეებში დაიწყო რეპეტიციები ქართულის თეატრისა. ქართული დრამატიული დასი შედგენილია ძველ არტისტებისაგან. რეჟისორად ბ-ნი სულხანიშვილია.

*** 13 სექტემბერს, დილით, გოლოვინის პროსპექტზე ტერ-ზახაროვის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს. პოლიციამ გამოძიება დაიწყო ცეცხლის გაჩენის მიზეზისა და აღმოაჩინა, რომ ცეცხლი განგებ ყოფილა წაკიდებული, რის შესახებ პოლიციამ უკვე აცნობა სასამართლოს გამომძიებელს. ბ-ნ ტერ-ზაქაროვს ქარხანა არა ჰქონდა დაზღვეული, მაგრამ მის მეზობლებს ბ-ნ პაპოვს აფთიაქის მაღაზია და ბ-ნ ხუნდაძეს ტრაქტირი დაზღვეული ჰქონიათ: პირველი 12,000 მან. და მეორე 5,000 მან. ბ-ნ რეიტერის სახლი, რომელშიაც იმყოფება ტერ-ზაქაროვის ქარხანა, დაზღვეულია 21,000 მან.

*** ამ დღეებში სასახლის ქუჩაზე ერთს მაღაზიაში შევიდა ვიღაცა ქალი და ითხოვა 500 არშინი ფარჩა. ამოდენა ფარჩა არა ჰქონდათ მაღაზიაში და გაკვირვებული ჰკითხეს, რად გინდათ მაგოდენა ფარჩაო. ქალმა თვალები დააბრიალა, მიაფურთხა და გამოვიდა ქუჩაში: ეცა ყელში ერთს აფიცერს და დარჩობას უპირებდა. აფიცერი ძლივს გამოგლიჯეს ხელიდგან. ქალი პოლიციაში წაიყვანეს; აღმოჩნდა, რომ იგი ელისაბედ შიმანსკისა ყოფილა, სულით ავადმყოფი და საგიჟეთში გაგზავნეს.

*** გუშინ, სექტემბრის 15-ს, დილით პეტრე-პავლეს სასაფლაოს ახლოს რევოლვერით თავი მოიკლა ყაზახის პოლკის აფიცერმა ივანოვმა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ სამოცი თუმანი სახელმწიფო ფული გაუფლანგავს.

*** ქუთაისი: 10 სექტემბერს ავაზაკებმა გასტეხეს ღამით პეტრე-პავლეს ეკკლესია, რომლიდგანაც გაიტანეს ერთი ვერცხლის ჯვარი, ღირებული 50 მანეთად და სხვა ნივთეულობა სულ 150 მანათისა. იმავე ღამეს გასტეხეს ეკკლესია ახალ სასაფლაოზე. როგორც ამბობენ, იქიდგან გაუტანიათ ვერცხლეული 1000 მანათისა. ავაზაკების კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

*** ახალქალაქი: მთელ ახალქალაქის მაზრაში მოდებულია ქუნთრუშა. თვითონ ახალქალაქშიაც ამ მოარულმა რამდენიმე ბავშვი იმსხვერპლა.

ახალი სააფთიაქო ნიხრი პირველ თებერვალში უნდა შესულიყო ძალაში, მაგრამ აქაურის მთავრობის განკარგულებით. მაისის 14 დან გააიაფეს აფთიაქებში წამლები და ხალ ნიხრის კვალობაზედ ჰყიდიან. კავკასიის აფთიაქებმა ყოვლად შეუძლებლად იცნეს ამ ფასით წამლების სყიდვა, რადგან სატახტო ქალაქებს ძრიელ დაშორებულ არიან და წამლების და ფარმაცევტების გამოწერა ერთი-ორად უჯდებათ. ყარსის აფთიქარმა პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა თხოვნა და აუხსნა თავისი გაჭირვება. ეხლა, როგორც ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, ყარსის აფთიაქს ნება მოსვლია ისევ ძველის ნიხრითა ჰყიდოს წამლები.

*** თელავი: აქაურმა მცხოვრებმა ალექსანდრე მიხეილის ძე ლეონიძემ მოიგონა მეფუტკრეთათვის ახალი ფრიად კარგი მანქანა. ყველამ იცის, რომ ფუტკარი უსწორ-მასწოროდ აწყობს ფიჭებსა, რომელთაგან ბევრი ცალიერიც რჩება, რადგანაც გზა დაეხშობა ხოლმე და ფუტკარი თავისუფლად ველარ შედის თაფლის დასადებად. ამას გარდა ფიჭების ამოღებაც ძნელია და სავსე ფიჭების ამორჩევა შეუძლებელია. ამისათვის მთლად ფიჭები უნდა დაიშალოს. ბ-ნ ლეონიძეს-მიერ მოგონილი მანქანა ამ საქმეს ძალიან აადვილებს. წინადვე გაკეთებული ჩარჩოები ანუ ფირფიტები უნდა წყობისად ჩაიდოს სკაში და ამ ფირფიტებს გარშემო უნდა წვრილად გაკრული ჰქონდეს ან ფიჭი ანუ დასორსლილი წმინდა სანთელი. ამ რიგად ფუტკარს სამუშაო გეგმა ეძლევა და ისიც რიგ-რიგად ავსებს ფირფიტებს ჯერ ფიჭით და მერე თაფლით. მართალია ევროპიელთ აქვთ იმის მინაგვარი მანქანა, მაგრამ ის ძნელი მოსახმარიც არის და ძვირიც: თითო ცხრა თუმნიდგან ოცამდე ღირს. ბ-ნ ლეონიძის მანქანა-კი ადვილი სახმარიცაა და ბევრით იაფიც: თუმანი, თუმან-ნახევარი ღირს თითო მანქანა.

## მთავრობის განკარგულებანი

სასპატიმროთა გამგეობათ გაეგზავნათ ცირკულიარები შესახებ იმისა, რომ როცა საპატიმროდგან ტუსაღი გაიგზავნება სადმე დასასახლებლად, თან გააყოლონ ამ კაცის ვინაობის ქაღალდები და ფოტოგრაფიის სურათი. ეს განკარგულება, რა თქმა უნდა, ზოგს გადასახლებულს ცოტათი მაინც გაუუმჯობესებს მის მწარე ბედსა.

## დამაკვირდი

ნათესავი ნაწილია ჩვენის ხორცისა, ხოლო მეგობარი ნაწილია ჩვენის სულისა.

არისტოტელ

**

ორჯელ არავინ არ სცხოვრობს, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც არც ერთხელ არ სცოცხლებენ.

რუკერტ

**

სამი მესამედი ადამიანთა მაიმუნები არიან იმათი, ვის შორისაც სცხოვრებენ.

სურეერ

## წერილი რედაქციის მიმართ

ვიღაცა „ხოშლელ“-მა ამას წინათ „კვალში“ ჩემი ლექსები გაარჩია. დღეს იგივე „ხოშლელი“ „კვალის“ № 35-ში არწმუნებს მკითხველებს, თითქო მე მის რეცენზიის გამო ხელი

---

შეერთებულს შტატებში, და ყველგან კრიზისს ერთი და იგივე მიზეზები აქვს.

— გარდამეტებული წარმოება განა? ბაზრის გავსება საქონლითა?— უნებლიედ წამოვიძახე მე.

— ეგ ხომ ბატონ ეკონომისტების გახუნებული და გაცვეთილი ფრაზებია! აქ საქმე გარდამეტებულ წარმოებაში არ არის. ჩვენ, ინგლისელები, და თითქმის ჩვენთან ერთად ფრანგებიც კარგა დიდხანს, 60-იან წელთა დაწყებამდე, ვიყავით ის ორად-ორი ერი, რომელიც მისდევდა მრეწველობას. არსად მთელს ქვეყანაზე ჩვენს მაშინებსა და მანუფაქტურას, ჩვენს იარაღსა და ხელ-საწყოს, ჩვენს ნაწარმოებს საინდუსტრიო ხელოვნებისას შემცირებელი და შემჯიბრებელი არავინა ჰყავდა. თაოსნობაც ჩვენს ხელთ იყო საქმისა და თვით საქმესაც ხომ არავის ვანებებდით: ინიციატორებიც ვიყავით და მონოპოლისტებიცა. გერმანია, ავსტრია, იტალია და რუსეთი ჩვენს საქონელსა ჰყიდულობდნენ. მაგრამ ცოდნასა და ტეხნიკას ხელში ჩაბჯულვით დიდხანს ვერ შეირჩენ; მისი მონოპოლია დიდხანს არ მოხერხდება. 60-იან წლებიდამ დაწყებული მოჰყვნენ და ჩვენი ტეხნიკა თითქმის ყველგან შეითვისეს, ისე რომ ამ ჟამად ზემოხსენებულნი სახელმწიფონი თვითონვე აკეთებენ მაშინებსა და სხვა-და-სხვა იარაღს, ხოლო გერმანია და ავსტრია ხომ, რაკი მუშა კაცის ფასი იქ იაფია (ჩვენ ვაძლევთ მუშა კაცს 3, 5 და 8 შილინგს, იქ მხოლოდ 1, 2 ӏ 4 შილინგს[2]) ӏ განგებ მფარველობას უწევენ იქ თავიანთ მრეწველობას; ასე გასინჯეთ, ჩვენც-კი გვიგზავნიან თავიანთ იაფ სავაჭრო საქონელს. ეს საქონელი ღირსებით იქნება ჩვენსასა და საფრანგეთისას ჩამოუვარდება კიდეც, მაგრამ ამას ვინ შეატყობს დახელოვნებულისა და მცოდნე კაცის მეტი.

ამ საგნის დაწვრილებულს გამორკვევას არ გამოვუდგებით იმიტომ, რომ ძლიერ შორს წაგვიყვანს; ერთ ორიოდე მაგალითს დავასახელებ მხოლოდ. ჩვენებურად კეთება მაშინებისა ისე შეითვისეს ევროპაში, რომ ციურიხი, საცა რკინაცა და ქვა-ნახშირიც მაშინის გასახურებლად საზღვარ-გარეთიდამ მოაქვთ, აკეთებს მშვენიერს და ბევრად იაფად ვიდრე ჩვენა და ფრანგები ვაკეთებდით ამ ათიოდე წლის წინად. ბამბის ქსოვილებისა და იაფის ფასის მაუდებს აკეთებენ ეხლა რუსეთსა და ინდოეთში, საცა აქამომდე ჩვენა ვყიდდით ას მილიონობით სწორედ ამ საქონელსა. ტეხნიკისა და ცოდნის ამ საყოველთაო გავრცელებითა და შეთვისებით აიხსნება დღევანდელი საერთა-შორისო ბრძოლა ტარიფებისა. აქაო და საკუთრად ჩვენის ქვეყნის მრეწველობა გვინდა გავაძლიეროთო, ბატონმა პროტექციონისტებმა დიდის ბაჟების შემოღებით გაძვირეს ცხოვრება და ხალხი იძულებულია ყველაფერში მეტ-მეტი აძლიოს თითოეულის მრეწველის ჯიბის გასასქელებლადა და სასარგებლოდ. ბაჟების მომატებით-კი არა, არამედ სატეხნიკო და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებით, მოხერხებულ და განათლებულ მუშა კაცთა აღზრდით შეიძლება მოცილეობა გაუწიოს ერთმა ერმა და ქვეყანამ მეორე ერსა და ქვეყანას. ადამიანთა გონებაში არ შედის ის აზრი, თუ რაოდენად მავნებელია და მაზარალებელი ქვეყნისა მფარველობა მრეწველობისა და მისი წახალისება. აი ერთი ცხადი და მეტად ცხადი მაგალითი ამ მავნებლობისა: შეერთ. შტატებმა გასაოცრად მოუმატეს ბაჟი უცხოეთის საქონელზე (იხ. „ივერია“ № 132). ისე აუწიეს, რომ სწორედ არ გაგონილა, მაგრამ კაპიტალისტებმა ესეც არ იკმარეს და დიდის ჯილდოს ძლევა დაუწყო მთავრობამ იმას, ვინც საზღვარ-გარედ გაიტანს ჩვენის ქვეყნის ნაჭირნახულევსაო. მერე იცით რა ჰქნეს სპეკულიანტებმა? იყიდეს ლონდონში— ჩვენ ხომ ბაჟი არაზე გვაქვს შემოღებული, მაგარ სასმელებსა და თუთუნს გარდა,—დიაღ, იყიდეს ბელგიიდამ მოტანილი იაფი შაქარი, წაიღეს ნიუ-იორკს, გადიხადეს საქონლის შესატანი ბაჟი, ხოლო შემდეგ, ვითომ ამერიკის შაქარიაო, წამოიღეს უკანვე ლონდონს, რისთვისაც ჯილდო მიიღეს მთავრობისაგან[3]). ეს ჯილდო იმოდენა იყო თურმე, რომ გაისტუმრა ხარჯი აქედამ წაღებისა და იქიდამ წამოღებისა და კიდევ მოგება დარჩათ სპეკულიანტებს. მერე ვის უჯდება გვერდებში ყოველივე ესე? ვისა და ჩვენ, ვინც ვყიდულობთ ყოველ გვარ სასმელ-საჭმელსა და ჩასაცმელ-დასახურსა; ჩვენ საწყალ მწარმოებელთ, მხვნელ-მთესველთა და მეურნეთ. მეტი ცუდი საქმე მოსდით-კი უფრო ამერიკის მხვნელ-მთესველთ.

— მაშ მოკლედ რომ მოვჭრათ და ისე გამოვთქვათ ეხლანდელის კრიზისის მიზეზები, უნდა აღვნიშნოთ უმთავრესად ლალა-იჯარის სიმძიმე, მრეწველობის უმთავრეს დარგთა გაჭირვება და რა კიდევ? ვკითხე მე.

— კიდევ მოცილეობა, ანუ კონკურენცია ავსტრალიისა, აფრიკისა და ამერიკისა. რადგან იაფია და სასწრაფო გადაზიდ-გადმოზიდვა ყველაფრისა, ამიტომ ზემოხსენებულ ქვეყნებიდამ მოტანა ლონდონს პურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგესი უფრო უმალ ხერხდება და უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ამ ოცის წლის წინედ ჯდებოდა რუსეთში ქალაქ სამარიდამ პეტერბურგს მიტანა ნუზლისა და სანოვაგისა.

მაგრამ ამ ქვეყნების კონკურენციაზე და იმაზედაც, თუ რა ღონისძიებით ჰფიქრობენ უშველონ სოფლის ხალხს, შემდეგს წერილში იყოს.

W. Vasiani

ლონდონი

---

[2]) შილინგი 32 კაპეიკია.

[3]) ეს ამბავი ოფიციალურად არ არის ჯერ დამოწმებული. მე მითხრეს, რომ ნამდვილია და მთელის ლონდონის ვაჭარმა ხალხმა იცისო.

ავტ.

ამელოს „კვალ“-ში თანამშრომლობაზე. რადგან მართლაც იმ რეცენზიის შემდეგ ჩემი ნაწერი არაფერი დაბეჭდილა „კვალ“-ში (და არც სხვაგან)' შესაძლოა იფიქროს ჩემის გარემოების უცოდინარმა, რომ „ხომლელი“-ს რწმუნება მართალი იყოს. ამიტომ გთხოვთ, პატივცემულო რედაქტორო, მომცემთ ნება დავარწმუნო თქვენის გაზეთის საშუალებით ბ-ნი „ხომლელი“, რომ მის რეცენზიას მე იმდენი ყურადღება მივაქციე, რამდენისასა ღირსია უვიცის ტიკტიკი პოეზიის-მაგვარ საზეო საგანზე. იმ დროს, როცა „ხომლელ“-მა თავისი რეცენზია დაბეჭდა, ავათ ვიყავ და დღემდის ავათა ვარ. მართალი მოგახსენოთ, და წერის ქეიფზედ არ ვყოფილვარ და ნამეტურ „ხომლელი“-ს პასუხის გების წერაზე, რომელიც „კრიტიკას“, როგორც თვით აღიარებს „კვალის“ № 35-ში, აცხობს ქუჩა-ქუჩა, კიოსკებისა და სალაყბოების წინ, და ისიც ერთის გადაფურცვლ-გადათვალიერებით.

სილოვან

ქობულეთი, 11 ენკენისთვე

## ინგლისელთა მოგზაურობა კავკასიაში.

ამ ჟამად კავკასიაში ბევრი უცხოელი მოგზაურობს. ერთი ინგლისელი, ვილიამ უატკინსი ეხლა ნალჩიკის მიდამოშია (თერგის ოლქი), სადაც ყაბარდოელების და სხვა მთიელთა ხალხის ყოფა-ცხოვრებას სწავლობს. უატკინს თანა ჰყავს მდივანი, ჯემ გოვარდი, სამი მოსამსახურე და რავდენიმე გზის მაჩვენებელი მკვიდრთაგანი. ეს გამოკვლევა ორს ინგლისის სამეცნიერო საზოგადოებას დაუვალებია უატკინსისათვის. ყაბარდოში რომ მორჩება გამოკვლევას, უატკინსი აპირობს იალბუზის წვერზედ ასვლას სწორედ იმ მხრიდგან და იმ გზით, სადაც დაიღუპნენ ოთხის წლის წინად ინგლისელნი მოგზაურნი დოკინ და დუკსი. უატკინსთან ექნება ფოტოგრაფიული აპარატი და სხვა კუთვნილება სამეცნიერო გამოკვლევისა.

ამათ გარდა თერგის ოლქში მოგზაურობს ავსტრიელი გაუჩი, რომელიც მოივლის კავკასიონის მთებს, სადაც ოსები სცხოვრობენ. ამერიკელნი ჩარლზ ვინკლერი და ჯონ ტომსონი კავკავიდგან გროზნაში წასულან ნავთის წყაროების გამოსაკვლევად და იქიდგან ბაქოზედ კასპიის იქითა მხარეს გაემგზავრებიან.

# რუსეთი

წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქნა სტუდენტად 889 კაცი. ამათ შორის 352 იურისტად ჩაიწერა; 254 ექიმად და დანარჩენი 283 სხვა ფაკულტეტებზე. სულ ამ ჟამად უნივერსიტეტში 3895 სტუდენტია, რომელთაგან 1624 იურისტია; 1207 ექიმი და 1244 ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე.

„იურისტებისა და ექიმების სიუხვე რომელ-სამე ალაგას პირველი ნიშანი არის იმისი, რომ ხსენებული ალაგი ცუდ მდგომარეობაში არისო“, ამბობს ერთი მეცნიერი. ეს აზრი თუ მთლად მართალი არ არის, ძალიან-კი ჰგავს მართალს.

—

გაზ. Новости-ს გამოკვლევით, პეტერბურგში დღესასწაულებში ასი ათასი კაცი არის მთვრალი. სასტატისტიკო ცნობებითა მტკიცდება, რომ თავის მკვლელთა ნახევარი ლოთთაგანი ყოფილა. ჩხუბი, აყალ-მაყალი, კაცის კვლა და სხვა ამ გვარი უბედურობა რომ ლოთობის შედეგია, ეს ყველასათვის ცხადია. ასი-ათასი კაცი—ეს მთელი ჯარი—რომ ერთ დროს დათვრეს, აბა ვინ რა კეთილს უნდა მოელოდეს.

არც ერთ ევროპის სახელმწიფოში ესეთი ლოთობა არ არის და ეს იმით აიხსნება, რომ იქაური მუშა-ხალხი ძალიან გაჭირვებული არაა. იქ ბევრნაირად სცდილობენ, რომ მუშა ხალხის ცხოვრება რიგიანად მოაწყონ, რათა შეეძლოს იაფად შეიძინოს ყოველივე, რაც საჭიროა საცხოვრებლად, ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ღამხმარებელ საზოგადოებათა და შემნახველ კასების დაარსება, კარგის სუფთა და თბილ სადგურების აშენება, ხორაგეულობის გარდასახადის მოსპობა, კვირაუქმე დღეს სასარგებლო და გამართობელ სანახაობის, წარმოდგენების გამართვა და სხვა ამ გვარი—აი რით ამოფხვრეს ევროპიელებმა მუშა-ხალხის ლოთობა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალი.

—

ულეაბორგის გუბერნატორს (ფინლანდიაში) საყოველთაოდ გამოუცხადებია, რომ ამას შემდეგ ოფიციალურ ენად საგუბერნიო სამმართველოში უნდა ცნობილ იქმნას ფინური ენა შვედურის მაგიერ, რომელიც აქამომდე ოფიციალურ ენად მიღებული იყო. საბუთად ამისთანა ცვლილებისა ის მოჰყავს, რომ გუბერნიაში უკანასკნელ ცნობებით 245,000 კაცი ლაპარაკობს ფინურ ენაზედ და მხოლოდ ორ ათასზედ ცოტა მეტი—შვედურად.

—

საერო განათლების სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კამისია მინისტრის თანაშემწეს თავ. მ. ს. ვოლკონსკის თავმჯდომარეობით. კომისია გამოირკვევს, რა რეფორმები უნდა მოხდეს დედათა გიმნაზიებში. ამ საგნის შესახებ კომისია შემდეგის აზრისაა: „სრულიად შეუძლებელია, რომ დედათა გიმნაზიას ერთსა და იმავე დროს ორი დანიშნულება ჰქონდეს: სწავლა-განათლება მიაწოდოს ქალებს და იმავე დროს მოამზადოს მასწავლებელი ქალები. კომისიის აზრით, დედათა გიმნაზიის დანიშნულება მხოლოდ ერთი უნდა იყოს: მიანიჭოს მოსწავლე ქალთა იმდენი ცოდნა და სწავლა-განათლება, რამდენიც საჭიროა ქალისთვისა ოჯახში და საზოგადოებაში.

# უცხოეთი

ამბობენ შვეციისა და ნორვეგიის მეფე სამთა კავშირის მიმხრობას აპირობსო.

—

ერთი ინგლისური გაზეთი საფრანგეთს ქალს ადარებს, რომელიც დიდი ხანია მოტრფიალეს ეძებდა და ბოლოს ძლივს იპოვნაო. ეს მოტრფიალე გაზეთის სიტყვით არის რუსეთი.

—

გლადსტონის ორგანო Daily News ამბობს რუსეთის ესკადრის ვიზიტის გამო ტულონში: ასეთი სტუმრობა რუსეთის მეზღვაურთა სრულიად არავისთვის არ არის საშიში. საფრანგეთს არავითარი ანგარიში არა აქვს რომ ომი ასტეხოს: მას სურს მხოლოდ დაანახოს ქვეყანას რომ ძლიერი მეგობარი იშოვნა.

—

გაზეთი Standard-ი ამბობს, რომ პაპს ლეონ მე-XIII ახალი ანდერძის ქაღალდი დაუწერია, წინანდელის ნაცვლად. ანდერძი ორად განიყოფება—საპოლიტიკო და კერძო განყოფილებანი. კერძო ქონება ზოგი პაპის ტახტს უანდერძა, ზოგიც თავის ნათესავებს (დისწულებსა და ძმისწულებს). პაპს თავის ანდერძში არც ის დავიწყებია, თუ რა რიგად უნდა დაიმარხოს.

—

ამ დღეებში ვენაში გაიმართა საერო კრება, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ამ ჟამად ვენაში იმყოფებიან: მოხუცი წარმომადგენელი სამეცნიერო სოციალიზმისა ფრიდრიხ ენგელსი და დეპუტატი გერმანიის პარლამენტისა ავგუსტ ბებელი. ორთავემ სიტყვა წარმოსთქვეს კრებაზედ. ბებელმა გადაჭრით ურჩია მუშებს, ყოველგვარ ძალადობას თავი დაანებეთ და შეუდექით აგიტაციას არჩევანების უფლებათა შესაძენად, ეს არის თქვენი საუკეთესო იარაღიო. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: ეგ ჩვენ კარგად ვიცითო.—ჩემო კარგო უპასუხა ბებელმა,—თქვენ იქნება კარგად იცით, სად მოიპოვება ეგ საუკეთესო იარაღი, მაგრამ ის-კი არ იცით, როგორ უნდა ჩაიგდოთ ხელში. მეც ძლიერ მოხარული ვიქმნებოდი, ჩვენი გულის წადილი დღესვე რომ აღსრულებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ესეც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია; ჩვენ ჯერ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენსკენ უმრავლესობა იყოს პლორეტარიისა, რადგანაც, თუმცა ჩვენ მოგვემხრნენ, მაგრამ მაინც დამონავებულნი არიან მებატონეთა მიერ. მაშ ჯერ-ჯერობით ვიქონიოთ მოთმინება და ნდობა ერთურთისა.

მთელი კრება დიდს აღტაცებაში მოვიდა, როცა ლაპარაკი დაიწყო ენგელსმა. ენგელსი ამ ჟამად 71—72 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე კაცია. სიბერეს ჯერ არ დაუსვამს მისთვის დაღი უძლურობისა. ენგლესმა სთქვა: მე წილადა მხვდა ის პატივისცემა და დაფნის გვირგვინები, რომელიც, მართალი რომ ვსთქვა, ჩემს გარდაცვალებულს მეგობარს მარკსს ეკუთვნისო. და თუ თვით მეც მიმიძღვის რაიმე სამსახური წინაშე ერისა, ამის ჯილდოდ სრულიად საკმარისია ჩემთვის ამავე ერში ნდობა იყოს ერთმანერთის და თანაგრძნობა ჩემის აზრისა. ამ ჟამად ყველგან მუშები გამსჭვალულნი არიან ერთისა და იმავე იდეალებით. ვენის მუშები სწორედ რომ საუკეთესო გზას ადგანან და სცდილობენ საყოველთაო არჩევანების უფლების მოპოვებას. გერმანიაში ასეთისავე მეცადინეობის წყალობით მუშათა დასმა ისეთი ძალ-ღონე მოიკრიბა, „რომ ბ-ნი კაპრივი დიდად ჩააფიქრა“. დიდის სიამოვნებით ვათვალიერებ ეხლა განახლებულ ვენის საზოგადო შენობებს და სიხარულით ვფიქრობ, რომ ყველა ეს მუზეები, თეატრები, უნივერსიტეტი, საბჭოს შენობა და სხვა ოდესმე თვით ხალხის საკუთრებად შეიქმნება. დიდის სიამოვნებით ვათვალიერებდი ამას წინად საბჭოს მშვენიერს დარბაზს, რომელშიაც ამ რამდენისამე თვის წინად მოხდა მიტინგი საყოველთაო არჩევანების უფლების მოპოვების მსურველთა. ამ დღეს ვენას მუშები მეთაურობდნენ და გაბედვით ვიტყვი, რომ ვენის მეთაურობა არც ერთხელ არა ყოფილა ასე პატიოსანი და ღირსეული.

## თეატრის მატიანე

—

6 სექტემბერს პეტერბურგის მიხეილის თეატრში წარმოადგინეს ახალი პიესა „დონნა დიანა“, გადმოკეთებული ისპანიურ ენიდგან. შინაარსი ამ პიესისა შემდეგია: გრაფის ბარცელონის ასული დონნა დიანა უარსა ჰყოფს სიყვარულსა და გათხოვებაზედაც უარს ეუბნება თავის მამას, რომელსაც თავის სახლში მოუწვევია საცოლე ახალგაზდა კაცები—დონჟუანი, პრინცი ურგელისა, დონ-ლუი, პრინცი ბეარნისა და დონ გასტონი, გრაფი დეფუა. ყველა ეს ახალგაზდა კაცნი სცდილობენ ტურფა დონნა დიანას გული მოიგონ, მაგრამ მათი ცდა ამაოა და დონნა დიანა ყველას უარს ეუბნება ცოლობაზედ. მათთა საბედნიეროდ ყველა ქალი არა ჰგავს დონნა დიანას და მის ორ ნათესავ ქალს დონნა-ლაურას და დონნა-ფენიზას შეუყვარდებათ დონ-ლუი და დონ-გასტონი. ამათაც თავის მხრივ შეუყვარდებათ ეს ქალები და თავს ანებებენ დონნა-დიანას. სამაგიეროდ დონ-ჟუანს ძლიერ უყვარს დონნა-დიანა და საშინლად იტანჯება მის გულ-ცივობით. დონ-ჟუანის საშველად გამოჩნდება ვინმე პოლილა, რომელმაც კარგად უწყის დიანას გულის პასუხი. პოლილა ამბობს, მეც დონნა დიანასავით გულ-ცივად ვექცეოდი მის მოახლეს ფლორეტას და ეხლა ეს მოახლე გაგიჟებულია ჩემის სიყვარულითაო. პოლილა ურჩევს დონ-ჟუანს, შენც ასე მოექეცი დონნა-დიანას და უთუოდ შეგიყვარებსო. დონ-ჟუანს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდება და მართლა ისე ექცევა დონნა-დიანას, როგორც პოლილა ურჩევს. დონნა-დიანას ძლიერა სწყინს, რად გამიგულგრილდა დონ-ჟუანიო, მერე თითონაც შეუყვარდება, სიყვარულს გაუმჟღავნებს და პიესა სულ ყველას ქორწინებით გათავდება.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

თავ. მეშჩერსკის გაზეთი Гражданинъ-ი ამბობს, რომ უცხოელნი

თავის სურვილისამებრ სარგებლობდნენ ჩვენის ბაზრით, ჩვენ-კი ვემორჩილებოდით იმათ ბრძანებას, მოთხოვნილებასა და მათგან დადგენილ ფასს.

საქონელს, რომლის გაკეთებას ჩვენი მუშა რავდენსამე თვეის მძიმე შრომას ანდომებდა, გვიცვლიდნენ ისეთს საქონელში, რომელსაც იმათი მუშა ერთის საათის განმავლობაში გააკეთებდა. და რადგანაც ჩვენი ნაწარმოები, დაფასების კვალობაზედ, ყოველთვის იმათსაზედ ნაკლები აღმოჩნდებოდა ხოლმე, პირ-იქით ჩვენ ვალიც გვედებოდა. ამ ფულს დავუმატებდით ხოლმე ჩვენს ნაწარმოებს და ისევ იმათვე ვაძლევდით და ამას გარდა ფულის სარგებელსაც ვიხდიდით და ეხლაც ვიხდით. ყველაზედ გასაოცარი აი რა არის: ეს საქმე ისე იყო მოწყობილი ტარიფებისა, ბანკირებისა, ბირჟისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა წყალობით, რომ ისინი ჩვენს ფულსაც, ჩვენსასაცა და თავიანთ ნაწარმოებსაც თავისებურად აფასებდნენ და ჩვენ მუდამ იმათი მოვალენი ვრჩებოდით და ვართ. რად არის ეს ასე? კულტურაშია განსხვავებაო, გვეუბნებიან.

დიაღ, სწორედ რომ კულტურაშია განსხვავება და ამის გამოსარკვევად მეტი არ იქნება ცალი თვალი მაინც გადავავლოთ წარსულს.

**

იმ გამათობის გამო, რომელიც გამოიწვია გაზ. Москов. Вѣд.-ში დაბეჭდილმა ბ-ნ სემენკევიჩის წერილმა იმის შესახებ, ვითომც ამერიკა სცდილობს „გაამერიკანელოს“ ყველა უცხო კაცი, იქ დასახლებული, და ვითომ საკვლავისოდ აღკრძალულია უცხოელთა გადასახლება ამერიკაში, ჟურნალი Вѣст. Европы ამბობს:

განა ეს „გაამერიკანელება“ კანონისა, და ადმინისტრაციის მოქმედების შედეგია? განა ჩვენ უცხოთა გარუსების წინააღმდეგნი ვიქნებით, უკეთუ ეს გარემოება თავის-თავად და ძალ-დაუტანებლად მოხდება? ბ-ნ სემენკევიჩის წერილი იმასკი არ ამტკიცებს, რაც ავტორს ნდომებია, არამედ მხოლოდ იმასა ჰმოწმობს, თუ რა ზღვარი უძევთ ერთმანერთს შუა რუსეთის ახლად მოვლენილ „ნაციონალიზმსა“ და სახელით მის მინაგვარს, ხოლო თვისებით სრულიად განსხვავებულს მოვლენას დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის ცხოვრებისას.

Русск. Жизнъ დასძენს ამას:

დიაღ, მართლა რომ დიდი „ზღვარია“... სწორედ რომ—„სახელით მინაგვარნი“ არიან და თვისებით-კი განსხვავებულნი“.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ფრიდრიხ იმპერატორის ქვრივი, იმპერატრიცა ვიქტორია ამ დღეებში ჰამბურგიდგან შვალბახში მიემგზავრებოდა რკინის გზით. ერთს სადგურზედ ვაგონში შევარდნილა ვიღაც მუშა-კაცი კალატოზის ტანისამოსით. რომ მიუხედ-მოუხედნია და დარწმუნებულა აქ ჩემი ადგილი არ არისო, უკან გამობრუნებულა, მაგრამ იმპერატრიცას შეუჩერებია და იქვე კუთხეში უჩვენებია ადგილი, მანდ ჩამოჯექიო. ისიც დამჯდარა, ჯიბიდგან კაშლი ამოუღია და მოუკბეჩია. იმპერატრიცა თურმე სიამოვნებით შესცქეროდა მუშას. შემდეგს სადგურზედ პოლიციის ინსპექტორი შევიდა ვაგონში და კისერში წაატანა ხელი უცნობ კაცს. ხოლო იმპერატრიცამ უბრძანა, ნუ ერჩითო. ხელოსანიც მშვიდობიანად ვაგონიდამ გამოვიდა.

**

პარიჟელებს შემდეგი ახალი მოდა მოუგონებიათ ქალთათვის. კაბები უნდა შეიკეროს ზოლებიან ფართალისა, ხოლო ეს ზოლები სიგრძეზედ-კი არ იქმნება როგორც აქამდე იყო არამედ სიგანეზედ. ამ ახალ მოდის წყალობით მაღალი ტანის ქალები დაბლები გამოჩნდებიან და დაბლები-კი ხომ უფრო დაბლებად.

## გამოსადეგი ცნობანი

ხელის კანის მორბილება. ხელის კანი რომ მორბილდეს და არ დასკდეს, ესეთი სულ უბრალო საშვალება იხმარება: უნდა კარგად დაიბანოთ ხელი, შეიწმინდოთ და მიშინადვე კარგად დაიზილოთ წმინდად დაფქვილულ ქერის სახამებლით. ძალიან კარგა მოქმედობს თურმე ეს საშვალება.

# დეპეშა

14 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია კანონი, რომლითაც ნება ეძლევა ერობათა 1893 წელს ქირნახული მიიღონ გლეხთაგან სამამულო გარდასახადში და წესდება იმის შესახებ, რა გვარად უნდა თვალ-ყური ადევნონ მარგარინისა და ყალბ ერბოს გაკეთებას.

დღეს გაემგზავრნენ პეტერბურგიდგან რუსეთის დელეგატები ბერლინის საბაჟო კონფერენციაზედ.

**ლონდონი.** მთელი არგენტინის რესპუბლიკა შეძრწა რევოლიუციის გამო. სანტაფეს შტატში უცხოელნი ახალშენები უწყობენ ხელს ამბოხებას; იქ გუშინ მთელი დღე ომობდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,69 | -- ,, |
| ცრამოყნის კუპონები | 153,26 | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241³/₄ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 218³/₄ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 193³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀ | — ,, | 100¹/₂ | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | — ,, | 100¹/₄ | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | 100 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98¹/₂ | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ეე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

ქვემორე ამისი მოხსენებული ყმაწვილები მიღებულ იქმნენ პირველ მოსამზადებელს სკოლაში, მაგრამ, არ-კი გამოცხადდენ:

1) ვაჩნაძე იოსებ დავითის ძე 2) ვაჩნაძე ივანე ალექსანდრეს ძე 3) ვაჩნაძე ესტატე ალექსანდრეს ძე 4) ვაჩნაძე ადამ იოსების ძე 5) ჯორჯაძე სფირიდონ ივანეს ძე 6) ჯანდიერი-ჩოკაევი ირაკლი დავითის ძე 7) ჯაფარიძე გიორგი მიხეილის ძე 7) ორჯონიკიძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე 9) ორჯონიკიძე გიორგი კონსტანტინეს ძე 10) ფურცელაძე გიორგი ლავრენტის ძე 11) ფირადოვი ვახტანგ ლევანის ძე 12 სულახანიშვილი ყარამან ივანეს ძე 13) ციციშვილი ვასილ გრიგოლის ძე 14) ციციშვილი გიორგი დავითის ძე

ეს ყმაწვილები, ვიმეორებთ, მიღებულნი არიან სათავად-აზნაურო სკოლის პირველს განყოფილებაში გარედგან მოსიარულე მოწაფეებად და თუ ამ ენკენისთვის 30 რიცხამდის არ გამოცხადებიან, მათ ადგილს დაიჭერენ სხვა ბავშვები, რომლებიც კანდიდატებად არიან ჩარიცხულნი.

რ. (2—1)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—99)

## ბ ე ბ ი ა
მ ა რ ი ა მ ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი
## დემურიასი

გადმოყვანილ იქმნა ლენქორანიდამ (ბაქოს გუბერნია) ტფილისის მესამე განყოფილების ბებიად.

ა დ რ ე ს ი: სამების ვიწრო ქუჩა, № 9. (3—960—2)

## მ. მურტაზი

დაბრუნდა კოჯრიდგან და ინგლისურ ენას ასწავლის მსურველთ. იმის სისტემით ძალიან მალე შეიძლება შეითვისოს გამოთქმა ინგლისურის სიტყვებისა, როგორც უკვე იცისყველამ, ვისაც მასთან უსწავლია. ადრესი: ლაბარატორის ქუჩა, ხალათოვის სახლის ეზოში. (3—959—2)

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მიריანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |

## მამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

**ი. ф პროტასევიჩი,** 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7¹/₂ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვილებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—48) ალ. თუთაევი

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი დასაბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერაა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მწოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანჟელიანცს, ტფილისს. (24—20)

Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე